რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლა

შაბათი, 7 ნოემბერი 1917 წ.

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1. Для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენცია და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 28 რუსეთის ს.-დ. მ-უშ. პარ. (მუშმრავლესთა) კავკ. სათლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. 28

## პირველი ნოემბრიდან გაზეთი ბრძოლა გამოდის ყოველდღიურად.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით 2 მ.
ცალკე ნომერი — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა უქმე დღეებისა. სტამბა — ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

# გაუმარჯოს საბჭოების რევოლუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ორი ბანაკი.

ორ დიდ ბანაკათ დაირაზმა მთელი რუსეთი და მათ შორის სასიკვდილო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს.

პროლეტარიატმა აღმართა დროშა, რომელსაც აწერია: პური, ზავი და თავისუფლება; მას ეხმარება ულარიბესი გლეხობა და მხარს უჭერს რევოლუციონური ჯარი.

ბურჟუაზიამ აფრიალა თავისი დროშა, რომელსაც გარკვევით აწერია: შიმშილი, ომი და მონობა; მასთან ერთათ არის შემამულეთა კლასი და მხარს უჭერს ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ამ ორი ბანაკის შერიგება არ შეიძლება; ბურჟუაზია აწარმოებს სასტიკ, დაუნდობელ, შეუბრალებელ ბრძოლას; საზოგადოთ პროლეტარიატის ბრძოლა არის მედგარი, შეუპოვარი და თავგანწირული. აშკარა შეტაკება სამოქალაქო ომათ გადაიქცა, უკან დახევა აღარ შეიძლება, გამარჯვებული ამ ომიდან ერთ-ერთი მებრძოლი უნდა გამოვიდეს.

ვინ გაიმარჯვებს?

პროლეტარიატმა უკვე დაამხო ხალხის მოღალატე კერენსკის მთავრობა და მის ადგილს დაამყარა მუშების და გლეხების მთავრობა. ამით მან ძლიერი იარაღი გამოგლიჯა ხელიდან კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიას და უძლიერესი პოზიციიდან განდევნა იგი.

მაგრამ ბრძოლა ამით არ გათავებულა. ბურჟუაზიამ შემოუტია მთელ ფრონტზე და აშკარათ აუწყა(?) ქვეყანას, რომ ის თავის ბატონობას ვერც ადვილათ არ შეელევა. მუშათა წითელ გვარდიას მან თეთრი გვარდია დაუყენა წინ და აშკარათ ებრძვის(?) პროლეტარიატის შეიარაღებულ რაზმებს. პეტროგრადს შემდეგ მოსკოვი, კიევი და ქალაქების მთელი რიგი გახდენ მოწამე ბურჟუაზიის ბარბაროსობისა, რომელიც სისხლით წალეკავს ქვეყანას, ოღონდ თავისი ბატონობა შეინარჩუნოს.

ბრძოლის სასწორი კვლავ პროლეტარიატის სასარგებლოთ იხრება. ბურჟუაზია დროებით ზავსა ითხოულობს(?). პროლეტარიატი თავგანწირულათ იბრძვის თავისი საბჭოების გარშემო დარაზმული და ფხიზლათ სდარაჯობს მთელ რევოლუციას.

პროლეტარიატი გაიმარჯვებს საბოლოოთ, რადგან ის იცავს ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს. ის შემოიკრებს თავის გარშემო მთელ დაჩაგრულ ხალხს და [illegible] წინ ხალხის ყველა აშკარა და ფარულ მტრებს. ერთად-ერთი ის შესძლებს გადაარჩინოს ქვეყანა იმ აუცილებელ უფსკრულს, რომელიც მას მოუმზადეს რევოლუციის ძირისძირ მტრებმა და მისმა ლაჩარმა მოყვრებმა.

ომით და ბურჟუაზიის ბატონობით განაწამებმა ხალხმა პროლეტარიატის დროშას უნდა მიაშუროს. გზა ხსნისა მხოლოთ ეს ერთია, სხვა არ არსებობს. მხოლოთ ის მოიპოვებს ზავს, მისცემს მშიერთ პურს, დაამკვიდრებს თავისუფლებას.

ხალხმა კარგათ იცის, რას ნიშნავს ბურჟუაზიის ბატონობა, მასთან შეთანხმებით სიარული, მის კუდში ჩანჩალი. ეს ნიშნავს ომის გაგრძელებას, შიმშილით სიკვდილს, თავისუფლების დასამარებას.

მან ისიც კარგათ იცის, რას ნიშნავს სხვის იმედით ყოფნა, თავის ბედის სხვისთვის ჩაბარება და მოთმინებით ლოდინი. ყველა ამის წყალობით ის მოტყუებული, პირში ჩალა-გამოვლებული, მოღორებული(?) და ნაღალატევი დარჩა. მას უღალატეს შეთანხმება-მორიგების პარტიებმა — მენშევიკებმა და ესერებმა და მოუპოვეს მას ზავის ნაცვლათ ტყვია, პურის ნაცვლათ ქვა და თავისუფლების ნაცვლათ ახალი ხუნდები.

მან ზიზღით შეაქცია ზურგი ამ პარტიებს და თავისი ბედის გამოჭედვას თითონვე შეუდგა. ხალხის განთავისუფლება თვით ხალხის საქმეა, — აი რა პოლიტიკური სიბრძნით აღჭურვა დღეს ხალხი, რომელიც ყურს აღარ უგდებს ოდესღაც ძლიერ მენშევიკ-ესერების პარტიებს, რომლებიც ბრძოლის ველიდან განზე გადგნენ და მებრძოლთა შორის მეჭანკლობას ეწევიან, მათ შერიგება-შეთანხმებას [illegible].

ხალხს არ აშინებს ამ მოღალატე პარტიების თვალთმაქცობით სავსე სიტყვები: ჩვენ არ გვმართებს(?) პროლეტარიატის აჯანყება, ის განმარტოებულია და უეჭველათ დამარცხდება. ვინა ხართ თქვენ, პროლეტარიატის განმარტოებელნო, მისი გმირული ბრძოლის სეირის მაყურებელნო, ბურჟუაზიის გულის მოსაგებათ პროლეტარული ბრძოლის მღალატელნო და ტალახში ამომსვრელნო?

თქვენ ბურჟუაზიული ინტელიგენცია ხართ, და შეძლებისდაგვარათ ემსახურებით თქვენს მომავლინებლებს; თქვენ ხორცი ხორცთაგანნი და სისხლი სისხლთაგანი ხართ იმ გათახსირებული ბურჟუაზიისა, რომელმაც მოწამლა თავისი [illegible] მთელი ქვეყანა და თქვენ თავისი(?) ყურმოჭრილ მონებათ გადაგაქციათ.

თქვენ ბრძოლა არ გეხერხებათ და მეჭანკლობას კიდებთ ხელს; თქვენ განამარტოვეთ პროლეტარიატი, მაგრამ პროლეტარიატმა და ულარიბესმა გლეხობამ უფრო ადრე განგამარტოვათ თქვენ და სრულიათ გაგრიყათ ასპარეზიდან.

ხალხმა კარგათ [illegible], რომ მას ჩამოშორდა ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელმაც პირი ბურჟუაზიისკენ იბრუნა, რადგან მხოლოთ ახლა ხედავს ხალხის ნამდვილი განთავისუფლება ყოველგვარ ბატონებისაგან. ხალხს შორდებიან გუშინდელი მისი მეგობრები, რადგან ძნელია უკვე აფრიალებული დიდი დროშის ზიდვა. ეს სავსებით მოსალოდნელი იყო და ვერავის არ აკვირვებს და არ აშინებს თქვენი ჩამოშორება.

ხალხმა იცნო თავისი მტერი და სასიკვდილოთ ეკვეთა მას, მტერმაც შემოიკრიბა თავისი ძალები და უბრძოლველათ ერთ გოჯსაც არ სთმობს. ორი ბანაკია დარაზმული, ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრებული. შუაზე დგომა სამარცხვინო გასრესას უქადის მის მოტრფიალეს.

დაჰკრა საბედისწერო ჟამმა ხალხის განთავისუფლებისა. ხალხი დარაზმული თავისი საბჭოების გარშემო მედგრათ ებრძვის ბურჟუაზიას, სადაც უნდა იყოს იგი დარაზმული, რა ინტელიგენციაც არ უნდა წამოაყენოს წინ თავის საფარათ.

არსებობს და იბრძვის მხოლოთ ორი ბანაკი: რევოლუციის და კონტრ-რევოლუციის, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის, ხალხის და მისი მტრების. მესამე ბანაკი არ არსებობს; ნიადაგ-გამოცლილი ინტელიგენცია სრულიათაც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ბანაკს, ის მხოლოთ მზვერავი რაზმია, ბურჟუაზიის სურვილების ამსრულებელი.

მიუხედავათ დიდი გასაჭირისა, პროლეტარიატი შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, ის ჯართან და ღარიბ გლეხკაცობასთან ერთათ სძლევს ბურჟუაზიულ ბანაკს, მიუხედავათ მისი მეშველი ლაქია-მეიჯიბისა და მზვერავთა რაზმების.

ორი ბანაკია. ყველამ თავისი ადგილი მონახოს!

## ახალი რევოლუცია.

პეტროგრადში მთელი ძალა-უფლება მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების ხელში გადავიდა. ასევე ხდება სხვა ქალაქებშიაც, სადაც დეპუტატთა საბჭოები ძლიერ რევოლუციონურ ორგანოებს წარმოადგენენ. ასევე უნდა მოხდეს მთელი რუსეთის სივრცეზე.

ამნაირათ რუსეთში დადგა ხანა მუშების და ულარიბესი გლეხების რევოლუციისა. თებერვლის რევოლუციამ, რომელიც პეტროგრადის პროლეტარიატმა მოახდინა რევოლუციონური ჯარის დახმარებით, სამეფო დესპოტიზმი რუსეთში სამუდამოთ დაამხო, მაგრამ ძალა-უფლება ისევ კაპიტალისტების და შემამულეების ხელში გადავიდა. მუშები, ჯარისკაცები და გლეხები ლამობდენ მთითქმის 8 თვის განმავლობაში ამ ძალა-უფლების თავის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მენშევიკების და სოც.-რევოლუციონერების წყალობით ხალხი დატყუ

# გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას.

## მთელი ძალა-უფლება საბჭოებს.

### გაუმარჯოს ზავს! გაუმარჯოს ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობას!

ლებული და პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდა. მენშევიკების და სოც.-რევოლიუციონერების ლიდერები შეეცადნენ, რომ მთელი ძალა-უფლება კაპიტალისტების და მემამულეების ხელში დარჩენილიყო, და ხალხს დაპირებებით ატყუილებდენ.

8 თვის განმავლობაში მუშები, ჯარისკაცები და გლეხები თანდათან რწმუნდებოდნენ იმაში, რომ მენშევიკები: (რომლებიც ჩვენში სოციალ-დემოკრატების სახელით გამოდიან—№ 1) და ესერები ღალატობდენ როგორც რევოლიუციას, ისე ხალხის ინტერესებს.

პროლეტარიატის და ჯარისკაცების წინაშე ასეთი დილემა დაისვა; თებერვლის რევოლიუციის ნაყოფი ან სრულებით უნდა გაბათილებულიყო, ან ახალი რევოლიუცია უნდა მომხდარიყო, რომელსაც ძირს უნდა ჩამოეგდო კერენსკის მთავრობა, მთავრობა კაპიტალისტური ბურჟუაზიის და მემამულეების, ის მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერდენ და ზურგს უმაგრებდენ მენშევიკები და ესერები (წერეთელი, ჩხეიძე, სკობელევი, ჩერნოვი, ავქსენტიევი და სხვ.) სხვა გზა აღარ იყო. გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, პეტროგრადის პროლეტარიატმა და რევოლიუციონურმა გარნიზონმა—ჯარმა ერთი დაკვრით 24—26 ოქტომბრის დღეებში დაამხო ხალხის და რევოლიუციის მოღალატე მთავრობა და მთელი ძალა უფლება ხალხის წარმომადგენელებს, მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოს გადასცა.

მოხდა უდიდესი რევოლიუცია, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს. ოქტომბრის რევოლიუცია აუცილებლათ მთელ მსოფლიოს უნდა მოედვას. იწყება თანამედროვე კაპიტალისტური წოყილების რადიკალური გარდაქმნა. ობიექტური პირობები ამ გარდაქმნისა უკვე საკმარისათ მოამზადა არათუ კაპიტალისტურმა განვითარებამ-მისმა იმპერიალისტურმა ხანამ, არამედ დღევანდელმა მსოფლიო ომმა.

ჩვენ ვამბობდით, რომ დღევანდელი ავაზაკური ომის გათავება შეიძლება მხოლოთ ხალხის აჯანყებით, ძალაუფლების ხალხის, მუშების ჯარისკაცების და გლეხების ხელში გადასვლით. რუსეთში ეს უკვე განხორციელდა, და ახალი მთავრობა ამ საქმეს უკვე შეუდგა, მისი პირველი სიტყვა ეს ომის შეჩერებაზე და ზავის ჩამოგდებაზე პირველი დეკრეტის გამოცემა იყო. მეორე მორიგი საკითხი,-ეს მიწის საკითხია,-ე. ი. ულარიბესი გლეხების არსებითი ინტერესების დაკმაყოფილება,— მეორე დეკრეტით ახალმა სახალხო მთავრობამ, ეს საკითხიც გადაჭრა,— მიწებზე მოისპო კერძო საკუთრება და იგი გული ხალხის საკუთრებათ გამოცხადდა. მესამე საკითხი—ეს სასურსათო საკითხია, ე. ი. საკითხი ხალხის უზრუნველყოფისა საჭმლით და ჩაცმა-დახურვით. ამ კრიტიკულ ხანაში, რომელსაც მთელი მსოფლიო განიცდის საქონლის ნაკლებობის და სრულებით ნაკლებობის გამო. ახალი მთავრობა აქაც რადიკალურ ზომებს იღებს, და ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის ხსნა მარტო მას ძალუძს.

თებერვლის დღეებში გადადგმული იქნა წინ მხოლოთ ერთი ნაბიჯი; მთელი 8 თვის განმავლობაში ჩვენ უკან ვიხევდით, რევოლიუციონური ფრაზების და სიტყვების მეტს არას ვაქოთებდით, რევოლიუციონური საქმე არ იყო. ოქტომბრის რევოლიუცია უკვე ვეებერთელა, გიგანტისებური ნაბიჯია წინ, სოციალიზმისაკენ. მუშებო, ჯარის კაცებო, გლეხებო! წინ გასწით სოციალიზმისაკენ, ხსნა მხოლოთ სოციალიზმშია.

ფ. მ.

## მენშევიკების ოპოზიცია.

მენშევიკები კარგათ ეწყობოდენ ხალხის მოღალატე კერენსკის მთავრობას. როცა კერენსკიმ მთელი კონტრ-რევოლიუცია დარაზმა და ხალხის სისხლში ჩახრჩობა მოინდომა, რევოლიუციონური პროლეტარიატი გმირულათ ეკვეთა მტრებს და კერენსკის მთავრობა ერთი დაკვრით გასრისა.

კერენსკის ჩამოგდებაზე დიდათ არ იტკივებენ მენშევიკები თავს. პირიქით, კიდეც სიამოვნებით, რომ ბრძოლა ხალხის გამარჯვებით გათავდა. მაგრამ როცა გამარჯვებულმა ხალხმა თავისი საბჭოების სახით თავისი მთავრობა წამოაყენა, მუშების და გლეხების მთავრობა შექმნა, ეს კი აღარ ეჭაშნიკათ, ჭკუაში არ დაუჯდათ. რა თქვენი საქმეა მთავრობის შედგენა—ეუბნებიან ისინი პეტროგრადის მებრძოლთ,—თქვენ იბრძოლეთ, მტარვალები დაამხეთ, მთავრობას კი ჩვენ შევადგენთო.

გუშინ კერენსკის ყურ-მოჭრილი მონები, მენშევიკები დღეს ნამდვილ რევოლიუციონურ მთავრობას არა სცნობენ. მიზეზი საპატიო აქვთ: ბალშევიკური მთავრობა არისო.

უნდა ვიფიქროთ, ბალშევიკური მთავრობა არ დაიცვას მუშების და გლეხების ინტერესებს და მიტომ უდგებიან მენშევიკები მას „ოპოზიციაში". მენშევიკები სწორეთ ასე ფიქრობენ. აი რა ნათლათ გამოთქვამენ ამ აზრს:

„ბალშევიზმს უნდა მოიპოვოს თანაგრძობა გლეხობის, მარა ისე, რომ არსებითათ არაფერი არ მისცეს".

ახალმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც სამუდამოთ ისპობა მიწაზე მემამულეთა საკუთრება ეს უდიდესი რეფორმაა, რომლის განხორციელებაში მთელი თავისი ძალღონით ეხმარება მთავრობა გლეხობას. და მერე ეს არაფერია? მართალია, ბალშევიზმი ვერაფერს მისცემს, თუ თითონ გლეხობამ ხელი არ გაანძრია და თავის განთავისუფლების დარაჯათ თითონვე არ დადგა. მაგრამ როდის პირდებოდა ვისმე ბალშევიზმი, მე გაგაბედნიერებ, შენ გულხელდაკრეფილი იყავიო. ეს თქვენ იძლეოდით ასეთ დაპირებებს, თქვენ პირდებოდით მათ ყოველ სიკეთეს დი სიმართლე უნდა ითქვას, კარგათაც მოატყუეთ თქვენ ისინი. იმდენ ხანს ალოდინეთ დამფუძნებელ კრებისთვის, სანამ კონტრ-რევოლიუცია კარზე არ მოაყენეთ, ხალხი აღსდგა ბალშევიკების მეთაურობით და კონტრ-რევოლიუციას ძირ-ბუდიანათ სპობს; ერთი უდიდესი საფუძველი კონტრ რევოლიუციისა მემამულეთა მიწათ-მფლობელობა იყო. სწორეთ აქეთ მიიტანა აჯანყებულმა ხალხმა იერიში და თავისი ახალი მთავრობის ხელით ერთი დაკვრით დაამხო მონობის ის უზარმაზარი ციხესიმაგრე, რომელსაც თქვენ მთელი რვა თვის განმავლობაში ნაფოტიც ვერ შეაგდებინეთ.

რა თქმა უნდა, თქვენ არ გეჭაშნიკებათ ასეთი რევოლიუციონური ნაბიჯი, —ტყუილათ ხომ არ იცავდით რვა თვეს მემამულეთა ინტერესებს, მარა ამ შემთხვევაში ნება გვიბოძეთ თქვენი ადგილი გიჩვენოთ და გითხრათ: რაკი არ მოგწონთ ბალშევიკების მთავრობა და ოპოზიციონერობა გწადიათ, მარჯვნით და დექით ყველა კადეტებთან ერთათ, ეს უფრო შეგეფერებათ. თვარა თქვენი მემარცხენეობა, დაგვერწმუნეთ, სიცილის მეტს არაფერს იწვევს.

ზავის დეკრეტი ხომ სრულიათ არ მოსწონთ მენშევიკებს. ბალშევიკები ვილგელმს და ლოიდ ჯორჯს „უმორჩილესი თხოვნით" მიმართავენ, „ემუდარებიან", „მუხლს ქვეშ უვარდებიანო". ეჰეეე, რა გულადი ხალხი ხართ, ყმაწვილებო! ის ვინ იყო, მოქალაქე სკობელევს რომ პარიზის კონფერენციაზე აგზავნიდა? ვის უნდა მოლაპარაკებოდა ის, თუ არა ლოიდ ჯორჯს და ძმათა მისთა?

მართალია, ევროპის მთავრობები ძალიან ცუდათ იცავენ თავის ხალხების ინტერესებს, მარა მათი ოფიციალური წარმომადგენელნი ისინი არიან და მეტი არავინ. ან როდის თქვეს ბალშევიკებმა მთავრობებს არ უნდა მივმართოთო? პირიქით, ჩვენ მუდამ იმას გიკიჟინებდით, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებით თქვენ არასოდეს არ მიგიმართავთ არც მთავრობებისთვის და არც ხალხებისთვის. 14 მარტის მანიფესტი საბჭოს დოკუმენტი იყო და არა მთავრობის; თქვენი მთავრობა ამ დოკუმენტს ოფიციალურათ ებრძოდა და კიდეც გააბათილა მისი მნიშვნელობა მთელი ქვეყნის თვალში.

თქვენც კარგათ იცით, რომ ახალი რევოლიუციონური მთავრობის საგარეო პოლიტიკა ისე განსხვავდება თქვენი სათაყვანებელ კოალიციონურ მთავრობის პოლიტიკიდან, როგორც ცა დედამიწიდან. იცით, რომ ეს მთავრობა ზავის საქმეში არავითარი რევოლიუციონური ნაბიჯის წინ არ შეჩერდება, ამ მხრით მან თავის არსებობის პირველ დღესვე იმდენი გააკეთა, რაც თქვენ სიზმრათაც არ მოგლანდებიათ. მარა აქაც თუ გინდათ ოპოზიციონერობა, მარჯვნიდან უნდა ჩაუდგეთ და მთელ ბურჟუაზიულ პრესასთან ერთათ შეხმატკბილებულათ იგალობოთ: ბალშევიკები ქვეყანას ღუპავენ, სამარცხვინო ზავს ამზადებენთქო.

ყველა ამასთან ერთათ მენშევიკებს ჩვენი სოციალისტობაც არ მოსწონთ და მოსწონთ კი არა, პირდაპირ დავთარს უბნევს მათ. ისინი აშკარათ გვაბეზღებენ წვრილ-ბურჟუაზიასთან—ბალშევიკები სოციალისტები არიანო. მარა ეს ძალიან საინტერესო ტემაა და ამაზე განსაკუთრებულათ მოვილაპარაკებთ.

## დეკრეტი მიწის შესახებ.

**(მუშათა და სალდ. დეპუტ. საბჭოების ყრილობისა.)**

მიღებულია 26 ოქტომბრის სხდომაზე ღამის 2 საათზე.

1, მემამულეთა მიწის მფლობელობა ისპობა დაუყოვნებლივ გამოუსყიდავად.

2, მემამულეთა მიწები, აგრეთვე საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო მიწები ყოვლის ინვენტარითა და შენობებით გადადის სოფლის საზოგადოებათა (ვოლოსტების) (ადგილ-მამულო კომიტეტების და სამაზრო გლეხთა დეპუტატების საბჭოთა განკარგულებაში დამფუძნებელ კრებამდის.

3. ყოველი დაზიანება ჩამორთმეულ ქონებისა, რომელიც ამიერიდან მთელი ხალხის საკუთრებაა, მძიმე დანაშაულებაა. რისთვისაც დამნაშავე სასტიკად იქნება დასჯილი სარევოლიუციო სასამართლოს მიერ. გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები მიიღებენ ყოველ საჭირო ზომას სრული წესიერების დასაცავა და მემამულეთა მიწების ჩამორთმევისა დროს, არკვევენ, როგორი მიწები და რამდენი უნდა იქნეს ჩამორთმეული, შეადგენენ მთელი ჩამორთმეული ქონების აწერილობას და სასტიკათ დაიცავენ ხალხის ხელში გადასულ ქონებას მთელი მათი შენობებით: იარაღით, პირუტყვით სურსათით და სხ.

4. ამ დიადი საადგილ-მამულო რეფორმის განხორციელების დროს სახელმძღვანელოდ სანამ ის საბოლოვოთ დამტკიცდებოდეს დამფუძნებელ კრების მიერ უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი „ნაკაზი" (დარიგება), რომელიც შეამუშავა მთელი რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს „უწყებათა" რედაქციამ:

---

მიწის საკითხის სავსებით გადაჭრა შეუძლია მხოლოთ სახალხო დამფუძნებელ კრებას.

ყველაზე უფრო სამართლიანი გადაწვეტა მიწის საკითხისა ასეთი უნდა იყოს.

1. სამუდამოთ ისპობა მიწის კერძო საკუთრება; მიწა არ შეიძლება გაიყიდოს, არც იყიდოს ვინმემ, არც იჯარით იქნეს გაცემული, არც დაგირავებული ან სხვა რაიმე წესით განთვისებული. მთელი მიწა: სახელმწიფო, საუფლისწულო, საკაბინეტო, სამონასტრო, საეკლესიო, პოსესიური, სამაიორატო, კერძო, საზოგადო, გლეხთა და სხვა გადადის უსასყიდლოთ ხალხის საერთო კუთვნილებად და მიეცემა დასამუშავებლათ ყველა მშრომელს.

ვინც დაზარალდება ამ ცვლილებებისა გამო, უფლება აქვს მიიღოს საზოგადოებრივი დახმარება დროებით, ვიდრე შეეგუებოდეს არსებობის ახალს პირობებს.

2. მიწის გულის მთელი სიმდიდრე—მადანი, ნავთი, ქვანახშირი, მარილი და სხვა, აგრეთვე ტყე და წყალი, რომელსაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, გადადის სახელმწიფოს სარგებლობაში. ყველა მცირე მდინარე, ტბა, ტყე და სხვა გადადის თემთა სარგებლობაში, ხოლო მათი განკარგულება იქნება ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში.

3. მაღალის კულტურულ მეურნეობის მიწები—ბაღები, პლანტაციები, სანერგეები, ორანჟერეები და სხ. არ დანაწილდება, არამედ დარჩება სამაგალითო საცდელ მეურნეობად და გადაეცემა სასარგებლოდ ან სახელმწიფოს ან თემს მისი რაოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით.

სამოსახლო მიწა ქალაქსა და ს ფელში, საშინაო ბაღჩა-ბაღებით და ბოსტნებით დარჩება დღევანდელი პატრონების ხელში, ხოლო რაოდენობა ამ მიწების და გადასახადი მათის სარგებლობისათვის დაწესებული იქნება საკანონმდებლო წესით.

4. ცხენის ზავოდები ხაზინის და კერძო სხვა და სხვა ჯიშის საქონლის ან ფრინველის მოსაშენებელი ქარხნები ჩამოერთმევა და გადავა ან სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში, რაოდენობისა და მნიშვნელობის მიხედვით.

გამოსყიდვის საკითხს გადასწყვეტს დამფუძნებელი კრება.

5. მთელი სამეურნეო ინვენტარი ჩამორთმეულ მიწებისა გადადის სახელმწიფოს ან თემის სარგებლობაში.

ინვენტარი არ ჩამოერთმევათ მცირე მიწის მფლობელ გლეხებს.

6. მიწით სარგებლობა შეუძლია რუსეთის სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს (განურჩევლად სქესისა). რომელმაც უნდა დაამუშაოს მიწა საკუთარის შრომით, თავის ოჯახის წევრების დახმარებით ან ამხანაგობის საშუალებით, და იმ დრომდე, სანამ შეუძლიან მიწის დამუშავება. დაქირავებული შრომა აკრძალულია.

თუ რომელიმე წევრი სასოფლო საზოგადოებისა შემთხვევით უძლურია ორი წლის განმავლობაში, სოფლის საზოგადოება ვალდებულია მის გამომთელებამდე საზოგადო საშუალებით დაამუშაოს მისი მიწა.

მიწის მუშა, თუ მოხუცებულობისა ან ინვალიდობასა გამო არ შეუძლია პირადად მიწის დამუშავება, ჰკარგავს მიწის სარგებლობის უფლებას, ხოლო სამაგიეროდ მიიღებს სახელმწიფოსაგან პენსიას.

7. მიწის სარგებლობა უნდა იყოს გათანაბრებული, ე. ი. მიწა განაწილდება მშრომელთა შორის ადგილობრივ პირობების მიხედვით შრომისა და საჭიროების (მოთხოვნილების) კვალობაზე.

ფორმა მიწის სარგებლობისა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს—ცალკე საოჯახო, სათემო, საარტელო, როგორც გადასწყვეტს თვითონ სოფელი.

8. მთელი მიწა ჩამორთმევის შემდეგ გადადის მთელი ხალხის მიწის ფონდში. მის განაწილებას მშრომელთა შორის განაგებენ ადგილობრივი და ცენტრალური თვითმართველობანი. დაწყებული დემოკრატიულათ მოწყობილ წოდებათა სოფლის და ქალაქის თემებისა და გათავებული ცენტრალურ საოლქო დაწესებულებებით.

სიაღგილ-მამულო ფონდი დრო გამოშვებით გადანაწილდება მცხოვრებთა რიცხვის ზრდისა და სასოფლო მეურნობის კულტურის განვითარების მიხედვით.

ახალი გადანაწილების დროს ის ნაჭერი მიწისა, რომელიც პირველად ხელში ჰქონდა მიწის მუშას, ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

თუ საზოგადოებიდან გავა რომელიმე წევრი, მისი მიწა დაუბრუნდება ფონდს, ხოლო უპირატესობა ამ მიწის სარგებლობაში ეძლევა წასულ წევრის ახლობელ ნათესავს ან იმას, ვისაც მოისურვებს გასული წევრი.

ხარჯი რომელიც გაწეულია მიწის გაპოხიერებისა და გაუმჯობესებისათვის, (ძირითადი გაუმჯობესება) უნდა აუნაზღაურდეს მიწის მუშას, როცა მისი მიწა დაუბრუნდება ფონდს.

თუ რომელსამე კუთხეში არაა საკმაო მიწა ყველა ადგილობრივ მკვიდრთა დასაკმაყოფილებლად, მაშინ ზედმეტი ხალხი უნდა გადასახლებულ იქნეს სხვაგან.

გადასახლების მოწყობა და ინვენტარის მოწოდება გადასახლებულთათვის უნდა იკისროს სახელმწიფომ.

გადასახლება უნდა მოხდეს შემდეგის წესით: ჯერ გადასახლდებიან ვისაც სურს, მერე საზოგადოების არა სასურველი წევრები, დეზერტირები და სხ., შემდეგ კი ან კენჭის ყრით ან შეთანხმებით.

ყოველივე რაც მოხსენებულია ამ „ნაკაზ"-ში, რომელშიაც გამოთქმულია, მთელი რუსეთის შეგნებული გლეხობის დიდი უმრავლესობის ნებისყოფა, გამოცხადებულია დროებით კანონად და უნდა განხორციელდეს დამფუძნებელ კრებამდის, რამდენადაც შესაძლებელია დაუყოვნებლივ, მხოლოდ ზოგი მისი დებულება შეიძლება განხორციელდეს თანდათანობით, რომელსაც განსაზღვრავენ გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭოები.

მიწა ღარიბ გლეხებსა და კაზაკებს არ ჩამოერთმევათ.

## მთავრობის დადგენილებანი.

### ქალაქის თვითმართველობათა უფლებების გაფართოების შესახებ სასურსათო საქმეში.

(დასასრული. იხ. „ბრძოლა" № 27).

6. ქალაქს უფლება აქვს რეკვიზიცია გაუკეთოს უმაღლეს სასწავლებლებისა და საშუალო სასწავლებელთა უმაღლესი კლასების მოსწავლეთა შრომას სასურსათო ორგანიზაციებში სამუშავოთ. ყველა ის პირები, რომლებიც ამ ჟამათ მუშაობენ სასურსათო საქმის დარგში, როგორც ქალაქის ორგანიზაციაში, ისე კერძო დაწესებულებებში, ვალდებული არიან შემდეგშიაც განაგრძონ მუშაობა და მუშაობის დროს დაემორჩილონ ქალაქის თვითმართველობის და მას უფლება-აღჭურვილ ორგანოების დადგენილებებს.

7. ქალაქის თვითმართველობას უფლება აქვს ვალდებული გახადოს მცხოვრებნი თითეული სახლისა ან სახლთა ჯგუფისა, რათა შეადგინონ მათ საზოგადოება საგნების ერთათ მისაღებათ და თანასწორათ გასანაწილებლათ.

8. ქალაქის თვითმართველობას უფლება აქვს შემოიღოს საზოგადო ან კერძო ცენტრალიზაცია სამზარეულო საქმისა და სავალდებულო ორგანიზაცია ცხელი საჭმელის მომზადებისა მარტო ქალაქის თვითმართველობის განკარგულებით, რის დროსაც, ცხელი საჭმელის მიღება უნდა ხდებოდეს საზოგადო სასადილოებში, ან იგი სახლებში უნდა ურიგდებოდეს.

9. ამ კანონის ყველა დადგენილებანი სასურსათო საგნების და სასურსათო საქმის შესახებ ეხება აგრეთვე პირველ საჭიროებას ყველა საგნებს და მათი მოწყობის და განგებლობის ყველა ორგანიზაციებს და სათანადო დაწესებულებებს, ამავე დროს რომელიმე საგნის პირველ საჭიროების საგნათ აღიარება ეკუთვნის ქალაქის თვითმართველობას.

10. ამ კანონის საფუძველზე მიღებული ქალაქის თვითმართველობათა დადგენილებანი ძალაში შედიან დაუყოვნებლივ მათი მიღებისთანავე ან ქალაქის თვითმართველობის მიერ ნაჩვენებ ვადაში და არ საჭიროებენ არავითარ დამტკიცებას კომისარების მხრით; მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს უფლება აქვს უწყოდეს ქალაქის თვითმართველობის დადგენილებანი და მოქმედება სასურსათო საქმეში.

11. ამ კანონისა და მის საფუძველზე ქალაქის თვითმართველობათა მიერ გამოცემულ დადგენილების დარღვევისათვის და სასურსათო საქმეში ქალაქის თვითმართველობის წინაამდეგ მოქმედებისთვის დამნაშავენი დაისჯებიან ციხეში დატუსაღებით ერთ წლამდე და ქონებრივი გადახდევინებით ქალაქის სასარგებლოთ მთელი ქონების კონფისკაციამდე.

## მოღალატენი

უკვე ყველასთვის ცხადია, რომ დღეს რუსეთში დაიწყო ახალი ისტორიული ხანა. დღეს მთელი რუსეთის მუშათა კლასის ავანგარდმა—პეტერბურგის პროლეტარიატმაააფრიალა მშრომელი კლასის სისხლით არა ერთხელ შეღებილი წითელი დროშა და მთელ რუსეთის ტვირთ მძიმეთ მოუწოდა მხარში ამოსდგომოდა მას და მასთან ერთად მიეტანა იერიში სულთამხუთავ, გაუმაძღარ, კაციჭამია ბურჟუაზიის სიმაგრეზედ—დროებითი ხალხის მტერ მთავრობაზედ. დღეს მრავალ ტანჯული პროლეტარიატი მოგერებიდგან გადავიდა იერიშზედ და როგორც შეფერის მუშათა ავანგარდს, ყოველ საათში სანგარს სანგარზედ იღებს და ძლევა მოსილი მიექანება დამონებულთა განსათავისუფლებლათ. მიუხედავათ ათასგვარი ცილისწამებისა, მიუხედავათ ციხე სახრჩობელისა, პროლეტარიატის ბელადებმა—ბალშევიკებმა წმინდათ მიიტანეს და დღემდის გაუსვრელათ დაურჩათ ის წითელი დროშა, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროთ, სხვა ჯურის სოციალისტებმა მაგ., სოც-რევოლიუციონერებმა და მენშევიკ-ობორონცებმა დიდი ხანია, რაც ის ტალახში ამოსვარეს. რუსეთის ნამდვილი მუშათა პარტია, არც აწი დაიხევს უკან და უკანასკნელათ ჩასცემს სასიკვდილო ლახვარს, მუქთა ხორას და მის საფლავზედ უზარმაზარ მძიმე ლოდს მააგორებს.

და აი ამ დროს როდესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა ორ მოპირდაპირე მტრების, ორი დაუძინებელი შეურიგებელი ფლანგების, ბურჟუაზიას და პროლეტარიატის, შრომას და კაპიტალის, გაყვლეფილი და გამყვლეფელის, რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის, ავანტიურისტი კერენსკის კამპანიის თავისი კორნილოვ-კალედინ და მათი შავრაზმელი არმიის, მუშათა კლასის-პროლეტარიატის გასასრესათ, იმ დროს. როდესაც მატყუარა კერენსკი ფიცს სდებს შავრაზმელებთან, რომ თქვენთან ერთად ვიბრძოლებ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბალშევიკების აღმოსაფხვრელათო, აი ამ დროს ჩვენი მენშევიკები გულ ხელ დაკრეფილი, როგორც განდეგილი სადმე მიყრუებულ მონასტერში ლოცვაში ატარებს თავის დღეებს, და მუშებს მოუწოდებენ და ემუდარებიან დამშვიდებული უყურეთ, თუ როგორ აკუწონ შენი ძმები სისხლის მსმელმა ჯალათებმაო. ეს მოქცევა არ არის საკვირველი, სხვა რომელიმე პარტიების მხრით, მაგრამ იმ პარტიას, რომელიც ჯერ კიდევ თავის დროშაზედ „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო" უწერია არ ეპატიება, იმ დროს როდესაც ორი მოპირდაპირე, ერთი მხრით რევოლიუციონური პროლეტარიატი და მეორე მხრით კონტრ-რევოლიუციონერი ხმალ ამოწვდილნი გაშმაგებით სასიკვდილოთ არიან მისულნი, ვერაფერი ბიჭობაა განზედ გადგომა და „ნეიტრალიტეტის" დაცვა, ეს არ ეპატიება იმ პარტიას, რომელიც თავის თავს პროლეტარიატის პარტიათ სთვლის. დადგა დრო გამოცდისა, დღეს ეგზამენს აბარებენ ისტორიას ყველა მომქმედი პარტიები. ან იქეთ, ან აქეთ, ასე არის დაყენებული საქმე, ან პროლეტარიატთან ერთად, ან მის წინაამდეგ, სხვა გზა არ არის, ვინც მესამე გზას აირჩევს, ის პილატესავით გაიძვერობს და მურტლიან ხელს იბანს, დღეს გაჩერების და ლოცვის დრო არ არის. თვითოეული წამი ძვირფასია, ვისაც მართლა სწამს რევოლიუცია და სოციალიზმი, ის ვალდებულია მხარში ამოუდგეს პეტერბურგის მშრომელ მასსას, და გამარჯვებამდის მიიყვანოს რუსეთის ძლევა მოსილი სოციალური რევოლიუცია.

ამხანაგებო მუშებო! სალდათებო! და ყველა მშრომელო ხალხო! გრწამდეთ, რომ ბედნიერება მოახლოვებულია, თვითეული პეტერბურგის მუშების გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, იცოდეთ, რომ პროლეტარიატის გამარჯვება მოგვცემს ჩვენ ზავს, პურს, მიწას და თავისუფლებას. მაშ გაუმარჯოს ძლევა მოსილ რუსეთის პროლეტარიატს, გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჯარს და ფლოტს, გაუმარჯოს დიდებულ მასწავლებელს, მშრომელი ხალხის მებაირახტე, ლენინს. გაუმარჯოს სოციალიზმს.

ილ. ქო. ბაბაშა

## მუშათა წერილები.

### ვაი სირცხვილო!

ამ 20—25 წლის წინეთ ეხლა გაქელარებული ერთი მუჭა მოწინავე ინტელიგენციისა დიდ საგმირო საქმეს აკეთებდენ: ისინი ფარულათ დაძვრებოდენ მუშათა უბნებში, იქ აგროვებდენ თითოოროლა საუკეთესო მუშებს და მათგან შემდგარ ჯგუფებში ეწეოდენ აგიტაცია პროპაგანდას რევოლიუციის მოსახდენათ და სოციალიზმის დასამყარებლათ. დიდი ღვაწლი მიუძღვით მათ მუშებში სოციალისტური იდეის გავრცელებაში. შრომამ მუქთათ არ ჩაიარა. მათმა პროპაგანდა-აგიტაციამ დიდი ნაყოფი გამოიღო, მუშა ხალხი გათვითცნობიერდა, მან შეიგნო სოციალიზმის ჭეშმარიტება და მისი აუცილებლობა. ცხრაას ხუთში მშრომელმა ხალხმა დაამტკიცა საქვეყნოთ მისი რევოლიუციონური თავგანწირულება. მაშინ ბევრი რამ მოიპოვა მშრომელმა ხალხმა, მაგრამ საბოლოოთ მაინც ვერ გაიმარჯვა. მან ბრძოლა შესწყვიტა, მარა არ გაუთავებია ომი სოციალიზმის დასამყარებლათ.

27 თებერვალს რუსეთის მშრომელმა ხალხმა კვლავ აღმართა დროშა რევოლიუციისა და სოციალიზმისთვის საბრძოლველათ. გამარჯვება გამარჯვებაზე მოიპოვა მან ამ ბრძოლაში. მაგრამ ძველი დახავსებული წესწყობილება ადვილათ არ უთმობს თავის ალაგს ახალს. ის თავგამოდებით იბრძვის თავის დასაცავათ. იყო ხანა,—3—5 ივლისში, როდესაც კინაღამ გადიხარა გამარჯვება ძვე-

ლი წესწყობილების მხარეზე. მაგრამ მუშათა კლასმა მოკრიფა მთელი ძალ-ღონე და 25 ოქტომბერს აღმართა დროშა ახალი რევოლიუციის. პეტროგრადის მუშების და სალდათების ხელმძღვანელობით დღეს თავს მოდებული, საგარეო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს რუსეთის მრავალი ქალაქების ქუჩებში, ყოფნა არ ყოფნის საკითხი წყდება დღეს!

ჩვენს გაქვავებულ ბელადებს სოციალ და სამარცხვინო საქმე ემართებათ: მათ შეეშინდათ მათმიერ გამოწვეულ სულების და ორივე ხელების ქნევით უკან-უკან იხევენ! იმის მაგიერ, რომ მათ ყველა იმის დანახვაზე, რაც ხდება დღეს რუსეთში — იხარეულის ცრემლები ჩამოსდიოდეთ მოღარა წვერებზე, ისინი ლაჩრული კანკალით გაფითრებული მუშათა და სალდათთა ჯარს უკან დახევას ურჩევენ! ეს ცოტაა, ისინი აფურთხებენ ყველა მას, რაზედაც ლოცულობდენ!

ავიღოთ ხელში თუნდა კვირის „ერთობის“ ნომერი და ვნახოთ მისი პირველი გვერდი, სადაც მოთავსებულია ერთი მეორეზე მიყოლებით სამ გალითო წერილები: „ბოლშევიკების მთავრობა“, „ბოლშევიკების ზავი“, „ბოლშევიკების დიქტატურა.“ რა ადგილი უნდა ქონდეს ასეთ წერილებს სოციალიზმის წინამორბედ სიმეონების — სილიბისტრო ჯიბლაძის, ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილის ორგანოში. ეს წერილები ხომ შეჯიბრებაა სუვორინის „ნოვოე ვრემიას“ და ტიხომიროვის „მოსკოვსკი ვედომოსტის“ სოციალიზმის წინააღმდეგ გალაშქრებაში იმ დროს, როდესაც პეტროგრადის, მოსკოვის, ხარკოვის და სხვა მრავალ ქალაქების ქუჩებში გაისმის რევოლიუციონური ყიჟინი მუშა ხალხისა, ნუთუ ჩვენი ძველი მასწავლებლები დღეს ისე დაძაბუნდნენ, რომ ამ ყიჟინაში ვერ გრძნობენ თავიანთი ახალგაზრდობის ყიჟინის გამოძახილს?

ვაი სირცხვილო!

ხ. თ—ია.

## დეპეშა

ჩრდილოეთის დაცვას კომიტეტმა პირველი ნოემბრის სხდომაზე მემარცხენე ესერების და ბოლშევიკების ხმით გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

მიიღო რა მხედველობაში, რომ მხოლოდ მთელი ჩრდილოეთის ოლქის მუშათა და სალდათთა საბჭოების სრულუფლებიანი საზოგადო ყრილობას შეუძლია ახლანდელ ამბებზე თავისი თვალსაზრისი გამოთქვას, ჩრდილოეთის დაცვის კომიტეტმა საჭიროთ სცნო მოიწვიოს ასეთი სიეზდი 20 ნოემბრისათვის. იგი ნათლათ ხედავს და ღრმათ აქვს შეგნებული, რომ დღევანდელ მომენტში ორი რევოლიუციონური ცენტრის შექმნა — სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის და საზოგადოების, სამშობლოსა და რევოლიუციის ხსნის კომიტეტისა — ამ ორივე ერთიმეორის წინააღმდეგ დაპირდაპირება დემოკრატიას ორათ ყოფს და შესაძლებლათ ხდის სისხლისმღვრელი შეტაკებები დაიწყოს და რადგან ასეთი მდგომარეობა მას დამღუპველათ მიაჩნია, ამიტომ იგი საჭიროთ სცნობს, ვიდრე მთელი ოლქის უმრავლესობის ნება-სურვილი გამოითქმება, ერთ ხელმძღვანელ ცენტრათ აღიარებულ იქმნას დღეს მხოლოთ პეტროგრადის სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტი და ყოველი ღონით მხარი დაუჭიროს მას, რისთვისაც ის უპირველესათ ფარსებს ჩრდილო-დასავლეთის ოლქის სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტს; მეორეთ — იქმნას ამ კომიტეტში საზღვაო კომიტეტის წარმომადგენელი; მესამეთ — მინსკის სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს ვრცელი უფლებები, რათა თავიანთი დამოუკიდებელი მოქმედება განავითარონ; მეოთხეთ ცნობის დაუყოვნებლივ, როგორც ცენტრალურ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტს, ისე ყველა ადგილობრივ კომიტეტებს, რომ ჩრდილო-დასავლეთის ოლქის საბჭოთა ცენტრში შედიან ფრაქციები მემარცხენე სოციალ-რევოლიუციონერებისა და ბოლშევიკების და ამ ცენტრის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ დაუყოვნებლივ შესრულებულ იქნას შემდეგი დებულებანი: პირველი, შესდგეს ერთგვარი სოციალისტური სამინისტრო, მეორე — მიმართონ მოწოდებით მეომარ ქვეყნების ხალხებს და მთავრობებს, რომ ახლავე შეკრან დემოკრატიული ზავი; მესამეთ — შეწყვეტილ იქნას პეტროგრადის წინააღმდეგ ჯარების გზავნა და აგრეთვე გადაყენებულ იქმნან პოსტებიდან ყველა ის პირები, რომლებიც ასეთ ჯარებს დღემდე აგროვებდენ და პეტროგრადის წინააღმდეგ გალაშქრებას ხელს უწყობდენ; მეოთხე — დაუყონებლივ დათხოვილ — დაშლილ იქნან „რევოლიუციისა და სამშობლოს ხსნის კომიტეტები“; მეხუთე — დანიშნულ ვადაზე დამფუძნებელი კრების მოწვევა. აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს მთელ რევოლიუციონურ დემოკრატიას, განსაკუთრებით რკინის გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ, რომლებიც თავიდანვე მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის წერტილზე იდგნენ და რომელთა მხარის დაჭერაზე რევოლიუციის ბედ-ბედი დიდათ დამოკიდებულია, ამიტომ მოუწოდებს მათ მხარი დაუჭირონ მედგრათ ახალი მთავრობის გეგმას. თვითონ დაცვის კომიტეტი თავის მხრივ აღტაცებით ესალმება ზავზე და მიწაზე საბჭოთა სიეზდის მიერ გამოცემულ დეკრეტებს და ყველას, ვისთვისაც კი რევოლიუციის ინტერესები ძვირფასია — მოუწოდებს მხარი დაუჭიროს სამხედრო-ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც თავგამოდებით იბრძვის მიწისა თავისუფლებისა და დემოკრატიული ზავის მოსაპოვებლათ. წინადადებას აძლევს მემარცხენე ესერების და ბოლშევიკების ფრაქციებს, თუ ვინიცობაა სხვა ფრაქციები უარს იტყვიან, მათგან დამოუკიდებლათ შეადგინონ ჩრდილო-დასავლეთის საოლქო სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი.

ხელს აწერენ: თავმჯდომარე [illegible], მდივანი [illegible].

## უკანასკნელი ცნობები

პეტროგრადში 28 ოქტომბერს, დღის 4 ნახ. საათზე ცნობები მოსკოვიდან, რომ იქ გენერალური შტაბი დანებდა; მთელი ძალა-უფლება მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ეკუთვნის.

მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა საკუთარი კორესპონდენტისაგან 5 ნოემბერს გამოგზავნილი:

ერთი კვირის ბრძოლის შემდეგ იუნკრებს იარაღი აჰყარეს; ძალა უფლება საბჭოს ხელშია; საზოგადოებრივი მშვიდობიანობის კომიტეტი დათხოვნილია.

ზავის შესახებ დეკრეტის 4 მილიონი ეგზემპლიარი გაავრცელეს ყველა ფრონტებზე აეროპლანებით.

# № 5 სია № 5

## დამფუძნებელი კრების

### კანდიდატებისა,

რომელიც წამოყენებულია კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ (რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა).

1. შაუმიანი სტეფანე გეორგის ძე, სრულიად რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრი. ბაქო.

2. ჯუღაშვილი (კობა, სტალინი) იოსებ ბესარიონის ძე, ლიტერატორი. პეტროგრადი.

3. ნარიმანოვი ნარიმან, დოქტორი. ბაქო,

4. ფიოლეტოვი ივანე ტიმოთეს ძე, მუშა. ნავთის მრეწველობის მუშათა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარე და ბაქოს მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო-ბალახანა.

5. ცხაკაია მიხეილი გრიგოლის ძე, ჟურნალისტი, თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

6. მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ლიტერატორი. თფ. საქ. საბჭოს ხმოსანი. თფილისი.

7. ჯაფარიძე (ლიომა) პროკოპი აფრასიონის ძე, ბაქოს მ. და ს. დ. საბჭოს წევრი. ბაქო.

8. თოდრია სილიბისტრო იესეს ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

9. ნაზარეტიანი ამაიაკ მარქარის ძე, თფ. მ. და ს. დ. ს. წევრი. თფილისი.

10. ქავთარაძე სერგეი ივანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

11. კუზნეცოვი ნიკოლოზ მიხეილის ძე, სტატისტიკოსი, თფ. მ. და ს. დ. ს. ა. კ. წევრი. თფილისი.

12. ისრაფილბეკოვი მეკუბეი, დოქტორი. ბაქო.

13. დენისოვი ათანასე ექვთიმეს ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ა. კ. წევრი.

14. ოკუჯავა მიხეილ სტეფანეს ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფილისი.

15. ხანოიანი სარქის მელიქ., პედაგოგი, ჟურნალისტი, თფილისი.

16. მიშჩენკო კორნილი ვასილის ძე, სალდათი, თფ. მ. და ს. ს. წევრი. თფილისი.

17. შავერდოვი დანიელი ალექსის ძე, ნაფიცი ვექილი, თფ. საქ. საბ. ხმოსანი. თფილისი.

18. ენუქიძე აბელი სოფრომის ძე, სალდათი. სრულიად რუსეთის მ. და ს. დ. საბჭ. აღ. კ. წევრი. პეტროგრადი.

19. ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. თფ. საქ. საბ. ხმოსანი, თფილისი.

20. რამონოვი ევგენი დავითის ძე, სამხედრო ექიმი, თფილისი.

21. ზარგარიანცი ალექსანდრე ოჰანესის ძე, მუშა. ბაქოს მუშათა და სალ. დეპ. საბჭოს ა. კ. წევრი. ბაქო.

22. ერქომაიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, კომპოზიტორი, თფილისი.

23. იაგუბოვი სეთი ლუკაფერი, მუშა. ბაქო-ბალახანი.

24. დუმბაძე ვლადიმერი ელიზბარის ძე, მუშა, თფ. მ. პროფ. კავშ. ც. ბიუროს წევრი. თფილისი.

25. კოლესნიკოვა ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, პედაგოგი. ბაქო.

26. აზიზბეკოვი მაშადი, ინჟინერი. ბაქო.

27. ნანეიშვილი ბიქტორ ივანეს ძე, პედაგოგი. ბაქო.

28. ათაბეგოვი არშაკ ნაზარის ძე, ბუნების მეტყ., თფ. საქ. ს. ხმოსანი.

29. არველაძე პეტრე იაკობის ძე, სალდათი. ალექსანდროპოლი.

30. ზევინ იაკობი დავითის ძე (პეტრე კუზმინ) მუშა. ბაქო-ბალახანა.

31. ლეჟავა სიმონ კონსტანტინეს ძე, დოქტორი. ფოთი.

32. გაბრიელიანცი (კარინიანი) არტაშ ბალასის ძე, იურისტი, ჟურნალისტი. ბაქო.

33. თერიანი ვაგანი სუკიასის ძე, პოეტი. ახალქალაქი.

34. მრავიან ასკანაზ არტემის ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი. თფილისი,

35. ბიკოვი მიხეილ ივანეს ძე, მუშა ბაქო-ბალახანა.

36. იოანისიანცი ამო გარნეს ძე პედაგოგი, ეჩმიაძინი.

**კავკასიის საოლქო კომიტეტი**
**რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკები).**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.